



№1370/2024 საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების 2024 წლის შესრულების ანგარიში



სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო
2025 წ.

სარჩევი

შესავალი	3
1. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება - მიზანი და ძირითადი პრინციპები	4
2. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება სს „საქართველოს რკინიგზასთან“	5
3. საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება	8
3.1. ხელშეკრულების საგანი	8
3.2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები	9
4. ბილეთების სატარიფო სტრუქტურა	10
5. ხელშეკრულების შესრულების ანგარიში: 2024 - ივლისი-დეკემბერი	12
5.1. საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების შესრულება	12
5.2. ძირითადი სტატისტიკა	13
5.3. გაწეული შეღავათები	24
5.4. აქტივების მოვლა-შენახვა	26
5.5. ფორს-მაჟორის შესახებ ანგარიში	27
6. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორები	28
6.1. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების ობიექტურად შეფასებული კრიტერიუმები (KPI) ..	28
6.1.1. პუნქტუალობა	29
6.1.2. სანდლობა	30
6.1.3. უსაფრთხოება	30
6.1.4. მატარებლების დასუფთავება	31
6.1.5. საჩივრების მართვა	32
6.2. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების სუბიექტურად შეფასებული კრიტერიუმები - მგზავრთა გამოკითხვა	35
7. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი	45
8. საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაცია	46
8.1. საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის გაანგარიშება	46
8.2. საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის გადახდა	46
8.3. გაცემული კომპენსაცია: ივლისი-დეკემბერი 2024	49
რეკომენდაციები	53
დანართები	54
დანართი #1: საზოგადოებრივი მომსახურების მიმართულებები, გამოსაყენებელი აქტივები, სიხშირე და მატარებელ-კილომეტრი (2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით)	55
დანართი #2: სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების სატარიფო სტრუქტურა	56
დანართი #3: კომპენსაციის ანგარიშგების ფორმა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების დანართი N3.1-ის თანახმად	62

შესავალი

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოსა და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2024 წლის 14 ივნისს გაფორმდა საზოგადოებრივი მომსახურების პირველი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1 ივლისს და მოქმედია 2028 წლის ჩათვლით. ხელშეკრულება ითვალისწინებს განსაზღვრული საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ სარკინიგზო ოპერატორისთვის - სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ კომპენსაციის გადახდას. „საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების და საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მაისის №266 დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, გასაჯაროებას ექვემდებარება საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების შესახებ ყოველწლიური ანგარიში.

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს სარკინიგზო ოპერატორის მიერ საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას 2024 წლისთვის. ანგარიშში წარმოდგენილია, თუ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად რა ვალდებულებები განესაზღვრა შესასრულებლად სარკინიგზო ოპერატორს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს განსაზღვრულ მიმართულებებზე შესაბამისად დადგენილი აქტივებით კონკრეტული მატარებელ-კილომეტრის შესრულება საანგარიშო პერიოდზე. საზოგადოებრივი კომპენსაციის გადახდა ხორციელდება სწორედ ამ კომპონენტის საფუძველზე. ხელშეკრულების ძირითად საგანთან ერთად, მასში სარკინიგზო ოპერატორისთვის განსაზღვრულია სხვა ვალდებულებებიც. მაგალითად, მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული ძირითადი სტატისტიკის დოკუმენტაცია და წარდგენა შესაბამის ვადებში, მომსახურების შესრულების ძირითადი ობიექტური ინდიკატორების განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების შესრულება, ძირითადი სუბიექტური ინდიკატორების შეფასების მიზნით მგზავრთა გამოკითხვის ჩატარება წინასწარ დადგენილი ვადების შესაბამისად და ა.შ.

ანგარიში ადასტურებს, რომ 2024 წელს სარკინიგზო ოპერატორმა შეასრულა ხელშეკრულებით მისთვის განსაზღვრული ვალდებულებები და სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმართულებებზე განსაზღვრული სიხშირით და მატარებელ-კილომეტრის უზრუნველყოფით და გამოსაყენებელი აქტივებით.

ანგარიშში მოცემულია საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის ანგარიშგება, სადაც დეტალურად არის მოცემული ხელშეკრულების შესრულებისას სარკინიგზო ოპერატორის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები, რის საფუძველზეც ყოველთვიურად ხორციელდება კომპენსაციის გადახდა. ანგარიშში ასევე მოცემულია ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლები 2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდზე, როგორიცაა შესრულებული რეისებისა და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა, შესრულებული მგზავრ-კილომეტრი, დატვირთულობის მაჩვენებელი, მგზავრთა გადაყვანის საშუალო სიშორე, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ეფექტიანობა, გაწეული შეღავათები და ა.შ.

მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა ხელშეკრულების შესრულების ძირითად ინდიკატორებზე დაკვირვება, როგორიცაა პუნქტუალობა, სანდოობა, უსაფრთხოება, მატარებლის დასუფთავება და საჩივრების მართვა. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების საფუძველზე, მგზავრთა გამოკითხვის ფარგლებში ფასდება სარკინიგზო სამგზავრო მომსახურებით მგზავრთა კმაყოფილების დონე და იდენტიფიცირდება ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებები. აღნიშნული ხელს უწყობს სარკინიგზო სამგზავრო მომსახურების ხარისხის როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ინდიკატორების საფუძველზე შეფასებას.

1. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება - მიზანი და ძირითადი პრინციპები

საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმებით¹ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ევროკავშირის და საბჭოს საზოგადოებრივი სამგზავრო სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ 1370/2007/EC რეგულაციასთან სამართლებრივი დაახლოების ვალდებულებიდან, რეგულირდება საქართველოს სარკინიგზო კოდექსით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მაისის N266 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის N608 განკარგულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების და საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მაისის N266 დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიზანია, სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, **ისეთ მიმართულებებზე, რომლებზეც მომსახურების გამწვევს/სარკინიგზო ოპერატორს არ გააჩნია კომერციული ინტერესი**, სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფა **რეგულარულად, არადისკრიმინაციულად, ხარისხიანად და შეძლებისდაგვარად დაბალი ფასით**, რაც თანხვედრაშია ევროკავშირისა და საბჭოს 1370/2007/EC რეგულაციისთვის განსაზღვრულ მიზანთან. აღნიშნული წესის საფუძველზე, კომპეტენტურ ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება, სარკინიგზო ოპერატორთან გააფორმოს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება, რომელის მიხედვითაც ამ უკანასკნელს დაეკისრება საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება, რის სანაცვლოდაც მიიღებს **საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციას** კომპეტენტური ორგანოსგან.

საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების ძირითადი პრინციპებია:

- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში მიღებული ჩვეულებებისა და სტანდარტების დაცვა;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- მომსახურების ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობა და მომსახურების დაბალი ფასების უზრუნველყოფა;
- მგზავრთა უფლებების დაცვა; ვ) მგზავრთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება;
- გარემოს დაცვა;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება² ასევე დეტალურად განსაზღვრავს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წესს და პირობებს; ბილეთების ტარიფის და საშეღავათო ტარიფების დადგენის პროცედურას; სარკინიგზო ოპერატორის ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის მექანიზმებს, კომპენსაციის დაანგარიშების წესს და სხვა პირობებს.

¹ [ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის](#)

² საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მაისის [დადგენილება N266](#)

2. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება სს „საქართველოს რკინიგზასთან“

საქართველოს მთავრობის N266 დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე „კომპეტენტური ორგანო“ განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, ამ წესით განსაზღვრული დებულებების უზრუნველყოფისა და სარკინიგზო ოპერატორთან გაფორმებული საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია, შეიქმნას კომისია.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N608 განკარგულებით³ განისაზღვრა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპეტენტური ორგანო, შეიქმნა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათამორისი კომისია და დამტკიცდა მისი დებულება.

აღნიშნული განკარგულებით საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში - კომპეტენტური ორგანო).

ამასთან, ამავე დადგენილებით, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 43² მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კომპეტენტურ ორგანოს დაევალოს, 2028 წლის ჩათვლით, საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (შემდგომში - სარკინიგზო ოპერატორი) 2024 წლის 15 ივნისამდე გაეფორმებინა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება პირდაპირი მინიჭების გზით.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 43² მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს პირდაპირი მინიჭების საფუძველზე, კონკურენტული შერჩევის პროცედურის გარეშე, თუ:

ა) ამ ხელშეკრულების საშუალო წლიური ღირებულება 1 000 000 (ერთი მილიონი) ევროს ლარში ეკვივალენტზე ნაკლებია ან საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება მგზავრთა წლიურად 300 000 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე გადაყვანას ითვალისწინებს;

ბ) საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების გაწევა სერიოზულად ფერხდება ან არსებობს ასეთი შეფერხების რისკი. ამ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიება – საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება პირდაპირი მინიჭების საფუძველზე გაფორმდეს ან კონკრეტულ საზოგადოებრივი მომსახურების სარკინიგზო ოპერატორთან არსებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს. პერიოდი, რომლითაც საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება ფორმდება ან მისი მოქმედების ვადა გრძელდება ან რომლითაც ამ გადაუდებელი ღონისძიების შედეგად ხდება საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების შესრულების დაკისრება, 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს;

გ) პირდაპირი მინიჭება დასაშვებია ბაზრისა და სარკინიგზო ქსელის შესაბამისი სტრუქტურული და გეოგრაფიული მახასიათებლების, კერძოდ, მოცულობის, მოთხოვნის მახასიათებლების, სარკინიგზო ქსელის სირთულის, ტექნიკური და გეოგრაფიული იზოლირების ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების გათვალისწინებით;

³ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის [განკარგულება N608](#)

დ) პირდაპირი მინიჭების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებით საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი ან ხარჯების ეფექტიანობა წინა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებასთან შედარებით გაუმჯობესდება;

ე) ეს ხელშეკრულება ფორმდება საზოგადოებრივი მომსახურების სარკინიგზო ოპერატორთან, რომელიც იმავდროულად მართავს იმ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის უმეტეს ნაწილს, რომელზედაც საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურება გაიწევა.

სს „საქართველოს რკინიგზასთან“ საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება პირდაპირი მინიჭების გზით გაფორმდა ზემოთ ხსენებული პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მთავრობის N608 განკარგულების დებულებების შესაბამისად, სარკინიგზო ოპერატორს განესაზღვრა საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება და კომპეტენტურმა ორგანომ აწარმოა მოლაპარაკებები სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. მიმართულებები, რომლებზეც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურება, შესაძლებელია განახლდეს საჭიროებისამებრ, ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანის გზით.

ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, კომპენსაციის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი.
- სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი

კომისიის უფლებამოსილებად განისაზღვრა ხელშეკრულების ძირითადი პირობების შეთანხმება; ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელება; წარმოდგენილი ანგარიშებისა და შესაბამისი წინადადებების განხილვა და ა.შ. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, კომისიამ 2024 წლის 6 ივნისს გამართულ პირველ სხდომაზე, განიხილა და შეიტანხმა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ გასაფორმებელი საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების პროექტის ძირითადი პირობები.

2024 წლის 14 ივნისს პირდაპირი მინიჭების საფუძველზე გაფორმდა პირველი საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება №1370/2024 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოსა და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2028 წლის ჩათვლით პერიოდი.

საზოგადოებრივი მომსახურების გაფორმების მოსალოდნელ შედეგებად განისაზღვრა:

- ამატლდება სარკინიგზო სამგზავრო გადაყვანების მომსახურების ხარისხი;
- გაიზრდება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დონე;
- გაჩნდება ახალი შესაძლებლობები დარგში დამატებითი ინვესტიციებისა და დაფინანსების მოზიდვისთვის;
- საქართველოს რკინიგზა გათავისუფლდება ისეთი სოციალური პასუხისმგებლობისგან, რაც მას როგორც კომერციული მიზნების მქონე ორგანიზაციას, აკისრებდა ფინანსურად არამიმზიდველი მგზავრთა გადაყვანის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის ვალდებულებას.
- ამასთან, სარკინიგზო ოპერატორს შესასრულებლად განესაზღვრა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯების გაანგარიშების ეფექტურობის გაზრდის სამოქმედო გეგმა, რისთვისაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დაწყებამდე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფინანსური დირექტორის ხელმძღვანელობით საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯების გაანგარიშების ეფექტურობის გაზრდისა და ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით.
- საზოგადოებრივი მომსახურების პირველი ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2024 წლის 1 ივლისიდან. 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე, სარკინიგზო ოპერატორის მომართვის საფუძველზე, ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა ორჯერ. 2024 წლის 12 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად, დაკორექტირდა შესასრულებელი მატარებელ-კილომეტრი, ასევე არსებულ პრაქტიკის საფუძველზე, მოიხსნა კომპენსაციის ყოველთვიური ზღვრული ოდენობა, განისაზღვრა დასუფთავების ახალი სამიზნე მაჩვენებელი და შესწორდა ტექნიკური დეტალები. მეორე ცვლილებით, 2024 წლის 30 დეკემბერს, განისაზღვრა 2025 წლის კომპენსაციის ოდენობა და ზღვრული ოდენობები. 2025 წლის 31 იანვრის შეთანხმებით, ცვლილება შევიდა ხელშეკრულების დანართ N1-ში, სადაც ხელახლა განისაზღვრა საზოგადოებრივი მომსახურების მიმართულებები, გამოსაყენებელი აქტივები, სიხშირე და შესასრულებელი მატარებელ-კილომეტრი.

3. საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება

3.1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების პირველ მუხლში გაწერილია საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების საგანი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების საფუძველზე, სარკინიგზო ოპერატორი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება და გასწიოს საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურება (შემდგომ - მომსახურება) კომპეტენტური ორგანოსგან საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის (შემდგომ - კომპენსაცია) მიღების სანაცვლოდ ხელშეკრულების დანართი №1-ით (**საზოგადოებრივი მომსახურების მიმართულებები, გამოსაყენებელი აქტივები, სიხშირე და მატარებელ-კილომეტრი**) გათვალისწინებულ მიმართულებებზე ამავე დანართით განსაზღვრული სიხშირისა და მატარებელ-კილომეტრის უზრუნველყოფითა და გამოსაყენებელი აქტივებით.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე (პუნქტი 1.2), შესაძლებელია ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული მიმართულებები, გამოსაყენებელი აქტივები, სიხშირე და მატარებელ-კილომეტრი შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. აღნიშნული პუნქტის საფუძველზე თავდაპირველად განსაზღვრული მაჩვენებლები დაკორექტირდა და საბოლოოდ ხელშეკრულების დანართი N1-ით, 2024 წლისთვის შესასრულებლად განისაზღვრა 1,159,578 მატარებელ-კილომეტრი 9 მაგისტრალურ და 11 საგარეუბნო⁴ მიმართულებაზე. გამოსაყენებელი აქტივები და სხვა მაჩვენებლები დეტალურად მოცემულია დანართი №1⁵-ში.

მიმართულება	სიხშირე	მატარებლის კატეგორია/ ნომერი	მატარებ ლის ტევადობა (ადგილი)	მატარებელ-კილომეტრი					
				2024 (6-12 თვე)	2025	2026	2027	2028	
მაგისტრალური მატარებლები									
თბილისი-ოზურგეთი-თბილისი	დღიური	Pass. coaches	№ 12/11	180	119,720	239,440	239,440	239,440	239,440
თბილისი-ქუთაისი-თბილისი		Pass. coaches	№ 18/17	54	80,665	161,330	161,330	161,330	161,330
თბილისი-ბათუმი-თბილისი		GRS	№ 802/801	400-407	125,195	250,390	250,390	250,390	250,390
თბილისი-ბათუმი-თბილისი		GRS	№ 804/803	400-407	125,195	250,390	250,390	250,390	250,390
თბილისი-ბათუმი-თბილისი	დღიური (სეზონუ რი)	GRS	№ 812/811	400-407	39,788	71,344	144,060	144,060	144,060
თბილისი-ბათუმი-თბილისი		GRS	№ 808/807	400-407	61,740	61,740	185,220	185,220	185,220
თბილისი-ბათუმი-თბილისი		GRS	№ 806/805	400-407	41,160	0	41,160	41,160	41,160
თბილისი-ზუგდიდი-თბილისი	დღიური	GRT/VMK	№ 870/869	299-323	115,705	231,410	231,410	231,410	231,410
თბილისი-ფოთი-თბილისი		GRT/VMK	№ 874/873	299-323	113,880	227,760	227,760	227,760	227,760
საგარეუბნო მატარებლები									
თბილისი-ბორჯომი-თბილისი	დღიური	ER2, ER2T, ES	№ 618/617	196-300	55,480	110,960	110,960	110,960	110,960
თბილისი-ბორჯომი-თბილისი		ER2, ER2T, ES	№ 686/685	196-300	55,480	110,960	110,960	110,960	110,960
ქუთაისი I - საჩხერე - ქუთაისი I		ER2	№ 633/634	144-160	31,755	63,510	63,510	63,510	63,510
ქუთაისი I - საჩხერე - ქუთაისი I		ER2	№ 635/636	144-160	0	63,510	63,510	63,510	63,510

⁴ ქუთაისი-საჩხერის ერთი მიმართულების გარდა, სადაც 2024 წლისთვის შესასრულებლად 0 მატარებელ-კილომეტრია განსაზღვრული.

⁵ ხელშეკრულების ეს დანართი მოქმედება 2024 წლის საანგარიშო პერიოდისთვის. 2025 წლის იანვარში განმეორებით შევიდა დანართი ცვლილება. განახლებული სახით შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშის დანართი #1-ის სახით.

ქუთაისი I - ბათუმი - ქუთაისი I	ES	№ 682/681	192-212	50,370	100,740	100,740	100,740	100,740
ქუთაისი I - ბათუმი - ქუთაისი I	ES/ ER2	№ 684/683	192-212	50,370	100,740	100,740	100,740	100,740
ბათუმი-ოზურგეთი-ბათუმი	ES/ ER2	№ 613/614	192-212	18,615	37,230	37,230	37,230	37,230
თბილისი-გარდაბანი-თბილისი	ER2, ER2T, ES	№ 6413/6414	196-300	14,235	28,470	28,470	28,470	28,470
თბილისი-გარდაბანი-თბილისი	ER2, ER2T, ES	№ 6415/6416	300	14,235	28,470	28,470	28,470	28,470
ხაშური-ზესტაფონი-ხაშური	Pass. coaches	№ 6418/6417	60	22,995	45,990	45,990	45,990	45,990
ხაშური-ზესტაფონი-ხაშური	Pass. coaches	№ 6446/6445	60	22,995	45,990	45,990	45,990	45,990
ჯამი				1,159,578	2,230,374	2,467,730	2,467,730	2,467,730

3.2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

ხელშეკრულებაში, გარდა შესასრულებელი მატარებელ-კილომეტრისა და გამოსაყენებელი აქტივებისა, სარკინიგზო ოპერატორისთვის შესასრულებლად განსაზღვრულია სხვა ვალდებულებები. ხელშეკრულება ადგენს წმინდა ფინანსური ეფექტის დაანგარიშების წესს, რომლის საფუძველზეც დგინდება ყოველთვიური საკომპენსაციო ოდენობა. ამასთან, ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო ოპერატორს უჩნდება მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების, ძირითადი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა-წარმოდგენის და მგზავრთა გამოკითხვის ვალდებულება. ხელშეკრულება სარკინიგზო ოპერატორს აკისრებს ვალდებულებას, სატარიფო სტრუქტურა შესათანხმებლად წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოს. ასევე მასთან წინასწარ შეათანხმოს საფასურის გადახდის გარეშე ან შეღავათიანი ფასით სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობის უფლების მინიჭების საკითხები. ხელშეკრულების თანახმად, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს სარკინიგზო ოპერატორის მიერ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და მოითხოვოს სარკინიგზო ოპერატორისგან ანგარიშგებისთვის დაწესებული სხვადასხვა ანგარიშის წარმოდგენა შესაბამისი ფორმით და ვადაში. სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია, ყოველი კალენდარული წლის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფინანსური შედეგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის მიერ დამოწმება, რომელსაც წარმოადგენს ყოველი წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

ხელშეკრულება ვალდებულებების შეუსრულებლობის / დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით, რომლის დაკისრების წესიც დადგენილია ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

ხელშეკრულება მოიცავს მისი შეწყვეტის, მასში ცვლილების შეტანის და ქვეკონტრაქტორებთან, ასევე ფორს-მაჟორთან დაკავშირებულ დებულებებს. ხელშეკრულებას ახლავს 6 დანართი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

კომპენსაცია

რაც შეეხება კომპენსაციის გაცემას, ხელშეკრულების მე-4 მუხლი ადგენს შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის წლის კომპენსაციის ზღვრულ ოდენობას და ყოველთვიურ ზღვრულ ოდენობებს. წლიური კომპენსაციის ზღვრული ოდენობა ყოველი წლისთვის განისაზღვრება შესაბამის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მომსახურების

კომპენსაციისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. კომპენსაციის გადახდა ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვისთვის, სარკინიგზო ოპერატორის მიერ ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენილი ინვოისის, საბანკო რეკვიზიტების, დანართი №3-ით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. თუ საკომპენსაციო ოდენობა აჭარბებს ზღვრულ ოდენობას, კომპენსაციის გადახდა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ზღვრული ოდენობების ფარგლებში.

კომპენსაციის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სარკინიგზო ოპერატორისთვის შესაბამისი თვის კომპენსაციის გაცემის მიზნით, კომპეტენტური ორგანო ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტაციას (ასანაზღაურებელი კომპენსაციის ოდენობის მითითებით) წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სარკინიგზო ოპერატორისთვის კომპენსაციის გადახდას. ხელშეკრულება ასევე განსაზღვრავს აუდირებული ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებას, ამასთან კომპენსაციის ზედმეტობით გადახდის შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

მხარეთა პასუხისმგებლობა

სარკინიგზო ოპერატორის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი ჯარიმები:

- კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს სარკინიგზო ოპერატორს დააკისროს ჯარიმა შესაბამისი წლის ყოველწლიური კომპენსაციის ზღვრული ოდენობის 0.5%-ის ოდენობით, როდესაც სარკინიგზო ოპერატორის მიერ შესაბამისი საანგარიშო წლის ჭრილში ვერ მიიღწევა ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების ობიექტურად შეფასებული თითოეული კრიტერიუმისათვის განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებელი.
- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის სარკინიგზო ოპერატორის მიერ ვერ შესრულდა ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული მატარებელ-კილომეტრი და ფაქტობრივად შესრულებული მატარებელ-კილომეტრის მაჩვენებელი 10%-ზე მეტით ნაკლებია დანართი №1-ით განსაზღვრულ შესაბამის მაჩვენებელზე, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია სარკინიგზო ოპერატორს დააკისროს ჯარიმა თითოეულ მიმართულებაზე 5 000 ლარის ოდენობით. სარკინიგზო ოპერატორს ჯარიმა არ დაეკისრება იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ცდომილება არ აღემატება 10%-ს.
- სარკინიგზო ოპერატორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი ან ნაწილობრივ შესრულებისთვის, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია სარკინიგზო ოპერატორს დააკისროს ჯარიმა შესაბამისი წლის ყოველწლიური კომპენსაციის ზღვრული ოდენობის 0.3%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველწლიური კომპენსაციის ზღვრული ოდენობის 0.02%-ის ოდენობით.

4. ბილეთების სატარიფო სტრუქტურა

ხელშეკრულების თანახმად, სარკინიგზო ოპერატორი, დამოუკიდებლად ან კომპეტენტური ორგანოს დავალების საფუძველზე, ადგენს ბილეთის სატარიფო სტრუქტურისა და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი ტარიფის ცვლილების პროექტებს და შესაბამისი დასაბუთებით დასამტკიცებლად წარუდგენს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია, დაეთანხმოს ან

ცვლილებები შეიტანოს მასში და დამტკიცოს წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია, იხელმძღვანელოს კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული ბილეთების სატარიფო სტრუქტურის შესაბამისად.

სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების სატარიფო სტრუქტურა დამტკიცდა სსიპ - სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 28 ივნისის № 1-1/71 ბრძანებით, რომელშიც სარკინიგზო ოპერატორის მომართვის საფუძველზე რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და 2024 წლის ბოლოსთვის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია:

- საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების ტარიფები;
- საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების საკომისიოს ოდენობები;
- საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობის უფლების მქონე პირთა კატეგორიები;
- საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების შეღავათიანი ფასით სარგებლობის მქონე პირთა კატეგორიები და საშეღავათო ტარიფები.

დამტკიცებული ტარიფები დეტალურად იხილეთ ანგარიშის დანართ #2-ში.

5. ხელშეკრულების შესრულების ანგარიში: 2024 - ივლისი-დეკემბერი

5.1. საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების შესრულება

2024 წლისთვის სარკინიგზო ოპერატორის ხელშეკრულების დანართი N1-ის თანახმად, სავალდებულოდ განესაზღვრა 1,159,578 მატარებელ-კილომეტრის შესრულება დანართი N1-ით გათვალისწინებული სიხშირითა და გამოსაყენებელი აქტივებით.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სარკინიგზო ოპერატორის მიერ წარმოდგენილ იქნა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების 6 თვის ანგარიში. 2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში სარკინიგზო ოპერატორმა:


- შეასრულა **1,155,829 მატარებელ-კილომეტრი: 820,827 (71%) მაგისტრალურ** მიმართულებაზე, **335,002 (29%) საგარეუბნო** მიმართულებაზე;
- შეასრულა **6,240 რეისი: 2,600 (41%)** - მაგისტრალურ მიმართულებაზე **3,640 (59%)** - საგარეუბნო მიმართულებაზე;
- გადაყვანილ იქნა **1,060,950 მგზავრი: 704,094 (66%)** მაგისტრალურ მიმართულებაზე, **356,856 (34%)** საგარეუბნო მიმართულებაზე.

ფაქტობრივად შესრულებული მატარებელ-კილომეტრი 2024 წ. (ივლისი-დეკემბერი)							
მიმართულება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
მაგისტრალური							
თბილისი-ოზურგეთი	20,336	20,336	19,680	20,336	19,680	19,680	120,048
თბილისი-ქუთაისი	13,702	13,702	13,260	13,702	13,260	13,260	80,886
თბილისი-ბათუმი	21,266	21,266	20,580	21,266	20,580	20,580	125,538
თბილისი-ბათუმი	21,266	21,266	20,237	21,266	20,580	20,580	125,195
თბილისი-ბათუმი	18,522	2,058	686	5,488	6,174	0	32,928
თბილისი-ბათუმი	21,266	21,266	20,580	0	0	0	63,112
თბილისი-ბათუმი	18,522	21,266	3,430	0	0	0	43,218
თბილისი-ზუგდიდი	19,654	19,654	19,020	19,654	19,020	19,020	116,022
თბილისი-ფოთი	19,344	19,344	18,408	19,344	18,720	18,720	113,880
სულ	173,878	160,158	135,881	121,056	118,014	111,840	820,827
საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი	9,424	9,424	9,120	9,424	9,120	8,512	55,024
თბილისი-ბორჯომი	9,424	9,424	8,968	9,424	9,120	8,360	54,720
ქუთაისი I -საჩხერე	5,394	5,394	5,220	5,394	5,220	3,480	30,102
ქუთაისი I -საჩხერე							0
ქუთაისი I - ბათუმი	8,556	8,556	8,280	8,556	8,280	8,556	50,784
ქუთაისი I - ბათუმი	8,556	8,556	8,280	8,556	8,280	8,556	50,784
ბათუმი - ოზურგეთი	3,162	3,162	3,060	3,162	3,060	3,162	18,768
თბილისი - გარდაბანი	2,418	2,418	2,340	2,418	2,340	2,418	14,352

თბილისი - გარდაბანი	2,418	2,418	2,340	2,418	2,340	2,418	14,352
საშური - ზესტაფონი	3,906	3,906	3,780	3,906	3,780	3,780	23,058
საშური - ზესტაფონი	3,906	3,906	3,780	3,906	3,780	3,780	23,058
სულ	57,164	57,164	55,168	57,164	55,320	53,022	335,002
ჯამი	231,042	217,322	191,049	178,220	173,334	164,862	1,155,829

2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში ფაქტობრივად შესრულებული მატარებელ-კილომეტრი წარმოადგენს 2024 წლისთვის შესასრულებელი მატარებელ-კილომეტრის **99,97%-ს**

მატარებელ-კილომეტრი



5.2. ძირითადი სტატისტიკა

ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად, სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია, ხელშეკრულების დანართი №5-ის შესაბამისად, აწარმოოს საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების ფარგლებში არსებული სამგზავრო ტრანსპორტის ძირითადი სტატისტიკის დოკუმენტაცია და კომპეტენტურ ორგანოს წარუდგინოს შემოსავლების დეტალიზებული სია და ანგარიში.

ხელშეკრულების დანართი №5-ში განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიები იმ ანგარიშების ვადების მითითებით, რომლის შესაბამისადაც სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშები⁶.

ძირითადი მონაცემი	ანგარიშების სიხშირე
მგზავრთა კვლევა	დანართი №4.1-ის 4.2.1 პუნქტის შესაბამისად
მგზავრთა რაოდენობა (ქრონომეტრაჟი)	კვარტალურად
ძირითადი სტატისტიკა	ყოველ საანგარიშო თვეს


⁶ დეტალურად იხილეთ ხელშეკრულების დანართი №5.

პროგნოზირებულ მონაცემთა შესრულების შედარება	წლის ჭრილში
„საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების“ კომპენსაციის ანგარიში	ყოველ საანგარიშო თვეს
ბონუსის/მალუსისა და ჯარიმების ანგარიში (არსებობის შემთხვევაში)	კვარტალურად
მოძრავი შემადგენლობის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული მომსახურების ანგარიში	კვარტალურად
ანგარიში განრიგის დარღვევისა (პუნქტუალობისა) და გამოსასწორებელი ზომების შესახებ	კვარტალურად
ანგარიში ფორს-მაჟორის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	კვარტალურად

ძირითადი სტატისტიკის ფარგლებში სარკინიგზო ოპერატორი ყოველთვიურად წარმადგენს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა მგზავრების რაოდენობა, მგზავრ-კილომეტრი, მგზავრ-კილომეტრი ადგილების ტევადობის (მოცულობის) მიხედვით, ფაქტობრივი (გამომუშავებული) მატარებელ-კილომეტრი, მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობა (გამოყენების ეფექტიანობა), მგზავრთა გადაყვანის საშუალო სიშორე, ბრუტო.ტონა/კმ, რეალიზაციისთვის მიწოდებული ადგილების რაოდენობა (ფორმირებული ადგილების რაოდენობა) და რეალიზებული ადგილების რაოდენობა (დატვირთულობის მაჩვენებელი).

შესრულებული რეისები


სარკინიგზო ოპერატორმა 2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სულ 6,240 რეისიდან 2,600 (41%) - მაგისტრალურ მიმართულებაზე 3,640 (59%) - საგარეუბნო მიმართულებაზე, ყველაზე მეტი - 1,162 რეისი შესრულდა ივლისის თვეში. მას შემდეგ შესრულებული რეისების რაოდენობა ყოველთვიურად იკლებს და დეკემბერში 941-ს შეადგენს.



ამ პერიოდში ყველაზე მეტი - 1137 რეისი შესრულდა თბილისი-ბათუმის მიმართულებაზე. ამ პერიოდში არ შესრულებულა ქუთაისი - საჩხერის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც განსაზღვრული იყო ხელშეკრულების დანართი N1-ით.

მიმართულება	შესრულებული რეისების რაოდენობა						
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
მაგისტრალური							
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	62	62	60	62	60	60	366
თბილისი-ქუთაისი - 17/18	62	62	60	62	60	60	366
თბილისი-ბათუმი - 801/802	62	62	60	62	60	60	366
თბილისი-ბათუმი - 803/804	62	62	59	62	60	60	365
თბილისი-ბათუმი - 811/812	54	6	2	16	18	0	96
თბილისი-ბათუმი - 808/807	62	62	60	0	0	0	184
თბილისი-ბათუმი - 805/806	54	62	10	0	0	0	126
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	62	62	60	62	60	60	366
თბილისი-ფოთი - 873/874	62	62	59	62	60	60	365
სულ	542	502	430	388	378	360	2600
საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი - 617/618	62	62	60	62	60	56	362
თბილისი-ბორჯომი - 685/686	62	62	59	62	60	55	360
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	62	62	60	62	60	40	346
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636							0
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	62	62	60	62	60	62	368
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	62	62	60	62	60	62	368
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	62	62	60	62	60	62	368
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	62	62	60	62	60	62	368
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	62	62	60	62	60	62	368
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	62	62	60	62	60	60	366
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	62	62	60	62	60	60	366
სულ	620	620	599	620	600	581	3640
ჯამი	1,162	1,122	1,029	1,008	978	941	6,240

გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა




საშუალოდ 75%-იანი დატვირთვის და ივლისი-აგვისტოს პერიოდში მაგისტრალურ მიმართულებებზე 100%-ზე მეტი დატვირთვის პირობებში, სარკინიგზო ოპერატორის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ **1,060,951** შეადგინა. გადაყვანილი მგზავრების 66% მაგისტრალურ მიმართულებებით სარგებლობდა, მხოლოდ 33%-მა ისარგებლა საგარეუბნო მიმოსვლის მატარებლებით. ყველაზე მეტი ბილეთი (240,197) გაიყიდა ივლისის თვეში. მას შემდეგ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა კლებდა. ყველაზე მეტი გაყიდული ბილეთი ფიქსირდება თბილისი-ბათუმის მაგისტრალურ მიმართულებაზე და 437,498 შეადგენს.

მიმართულება	გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა						
მაგისტრალური	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	13,192	14,434	11,072	8,392	7,415	8,802	63,307
თბილისი-ქუთაისი - 17/18	4,236	4,508	3,817	3,115	2,213	2,609	20,498
თბილისი-ბათუმი - 801/802	24,399	25,039	23,461	24,636	21,569	21,339	140,443
თბილისი-ბათუმი - 803/804	24,746	25,132	23,526	24,176	22,046	21,894	141,520
თბილისი-ბათუმი - 811/812	20,347	2,362	783	5,106	3,489	0	32,087
თბილისი-ბათუმი - 808/807	24,642	24,838	23,928			0	73,408
თბილისი-ბათუმი - 805/806	21,464	24,742	3,901	-67		0	50,040
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	19,255	19,433	18,243	17,582	16,106	16,299	106,918
თბილისი-ფოთი - 873/874	18,360	15,074	11,708	10,179	9,897	10,656	75,874
სულ	170,641	155,562	120,439	93,119	82,735	81,599	704,095
საგარეუბნო							0
თბილისი-ბორჯომი - 617/618	8,663	9,519	6,889	5,989	4,887	4,433	40,380

თბილისი-ბორჯომი - 685/686	14,849	13,721	12,940	12,587	11,945	10,097	76,139
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	3,020	3,174	2,616	2,362	2,089	1,316	14,577
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636							0
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	11,609	17,814	9,839	6,446	5,877	5,626	57,211
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	10,062	12,904	9,565	6,940	6,679	6,303	52,453
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	4,123	4,514	3,617	2,638	2,538	2,557	19,987
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	5,086	4,534	4,721	4,880	4,610	4,938	28,769
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	4,549	4,263	4,497	4,635	4,702	5,096	27,742
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	4,018	1,730	3,431	1,221	2,564	2,120	15,084
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	3,577	6,270	3,690	5,136	2,972	2,869	24,514
სულ	69,556	78,443	61,805	52,834	48,863	45,355	356,856
ჯამი	240,197	234,005	182,244	145,953	131,598	126,954	1,060,951

2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში სარეალიზაციოდ სულ მიწოდებულ იქნა 1,406,545 ბილეთი. 53% მაგისტრალური მიმართულებებისთვის, 47% კი საგარეუბნო მიმართულებებისთვის. ზაფხულის სეზონის გათვალისწინებით, ყველაზე მეტი ადგილი დაფორმირდა ივლისის თვეში. მას შემდეგ ტენდენცია აქაც, ისევე, როგორც ყველა სხვა მაჩვენებელში, კლებადია.




სარეალიზაციოდ მიწოდებული ადგილების უმეტესობა თბილისი-ბათუმის მიმართულებაზეა დაფიქსირებული (გარდა სეზონური რეისებისა).

მიმართულება	ფორმირებული ადგილების რაოდენობა						
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	10,404	10,160	8,952	7,820	7,236	8,612	53,184

თბილისი-ქუთაისი - 17/18	4,440	4,332	4,140	4,336	3,624	4,116	24,988
თბილისი-ბათუმი - 801/802	24,529	24,555	23,785	24,739	23,848	24,637	146,093
თბილისი-ბათუმი - 803/804	24,493	24,746	23,209	24,391	23,540	24,297	144,676
თბილისი-ბათუმი - 811/812	21,353	2,379	793	6,302	7,070	0	37,897
თბილისი-ბათუმი - 808/807	24,480	24,561	23,778	-		0	72,819
თბილისი-ბათუმი - 805/806	21,362	24,388	3,930	-		0	49,680
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	18,956	18,972	18,360	18,950	18,300	18,910	112,448
თბილისი-ფოთი - 873/874	18,848	16,524	18,319	18,622	18,295	18,909	109,517
სულ	168,865	150,617	125,266	105,160	101,913	99,481	751,302
საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი - 617/618	12,400	12,400	12,000	12,400	12,000	11,200	72,400
თბილისი-ბორჯომი - 685/686	14,880	14,880	14,400	14,880	14,400	13,440	86,880
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	9,300	9,300	18,000	9,300	9,000	5,700	60,600
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636							
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	12,400	12,400	12,000	12,400	12,000	12,400	73,600
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	12,400	12,400	12,000	12,400	12,000	12,400	73,600
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	12,400	12,400	12,000	12,400	12,000	12,400	73,600
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	12,400	12,400	12,000	12,400	11,200	12,400	72,800
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	12,400	12,400	12,000	12,400	11,200	12,400	72,800
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	5,910	5,910	5,910	5,910	5,122	5,720	34,482
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	5,910	5,910	5,910	5,910	5,122	5,719	34,481
სულ	110,400	110,400	116,220	110,400	104,044	103,779	655,243
ჯამი	279,265	261,017	241,486	215,560	205,957	203,260	1,406,545


რაც შეეხება დატვირთულობას, ამ პერიოდის განმავლობაში ყველა მიმართულებისთვის დატვირთულობის მაჩვენებელმა (რეალიზებული ადგილების რაოდენობის შეფარდება ფორმირებული ადგილების რაოდენობასთან) საშუალოდ 75%-ს მიაღწია. დატვირთულობის საერთო მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო აგვისტოს თვეში და 90%-ს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ მაგისტრალური მიმართულებებისთვის დატვირთულობის საერთო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდისთვის 94%-ია, მაშინ, როდესაც საგარეუბნო მიმართულებებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 54%-ს შეადგენს.



ამ პერიოდის განმავლობაში ზოგიერთ მაგისტრალურ მიმართულებაზე, მაგალითად როგორიცაა თბილისი-ოზურგეთი, თბილისი-ბათუმი, დატვირთულობის მაჩვენებელი 100%-ს აჭარბებდა. ეს ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვეულია ამ სტატისტიკური მაჩვენებლის დათვლის მეთოდოლოგიით, რომელიც ეყრდნობა გაყიდული ბილეთების რაოდენობას და ერთ რეისზე ერთ ადგილზე ერთზე მეტი ბილეთის რეალიზაციას უშვებს.

მიმართულება	დატვირთულობის მაჩვენებელი						
მაგისტრალური	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	127%	142%	124%	107%	102%	102%	119%
თბილისი-ქუთაისი - 17/18	95%	104%	92%	72%	61%	63%	82%
თბილისი-ბათუმი - 801/802	99%	102%	99%	100%	90%	87%	96%
თბილისი-ბათუმი - 803/804	101%	102%	101%	99%	94%	90%	98%
თბილისი-ბათუმი - 811/812	95%	99%	99%	81%	49%	0%	85%
თბილისი-ბათუმი - 808/807	101%	101%	101%	0%	0%	0%	101%
თბილისი-ბათუმი - 805/806	100%	101%	99%	0%	0%	0%	101%
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	102%	102%	99%	93%	88%	86%	95%
თბილისი-ფოთი - 873/874	97%	91%	64%	55%	54%	56%	69%
სულ	101%	103%	96%	89%	81%	82%	94%
საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი - 617/618	70%	77%	57%	48%	41%	40%	56%
თბილისი-ბორჯომი - 685/686	100%	92%	90%	85%	83%	75%	88%
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	32%	34%	15%	25%	23%	23%	24%
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636							
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	94%	144%	82%	52%	49%	45%	78%
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	81%	104%	80%	56%	56%	51%	71%
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	33%	36%	30%	21%	21%	21%	27%
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	41%	37%	39%	39%	41%	40%	40%
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	37%	34%	37%	37%	42%	41%	38%
ხაშური-ჯესტაფონი - 6417/6418	68%	29%	58%	21%	50%	37%	44%
ხაშური-ჯესტაფონი - 6445/6446	61%	106%	62%	87%	58%	50%	71%
სულ	63%	71%	53%	48%	47%	44%	54%
ჯამი	86%	90%	75%	68%	64%	62%	75%

ფორმირება / გადაყვანილი მგზავრი (ათასი) (ივლისი-დეკემბერი 2024)



შესრულებული მგზავრ-კილომეტრი

მაგისტრალური მიმართულების დაახლოებით 97%-ზე მგზ. კმ გამოთვლილია კლასიკურად გადაყვანილი მგზავრების შესაბამისად გამგზავრების და დანიშნულების სადგურების მანძილის გათვალისწინებით. მაგისტრალური მიმართულების დაახლოებით 3%-ზე მგზ. კმ. გამოთვლილია საწყის და საბოლოო სადგურებს შორის მანძილის გათვალისწინებით გადაყვანილი მგზავრების შესაბამისად. მაგისტრალურ მიმართულებაზე 2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში შესრულებული მგზავრ-კილომეტრი შეადგენს **211,469,303** მგზავრ-კილომეტრს.

საგარეუბნო მიმართულების მგზ.კმ.-ის ნაწილი დათვლილია გამგზავნი და დანიშნულების სადგურის მიხედვით მანძილით, ხოლო ნაწილი საწყის და საბოლოო სადგურებს შორის მანძილით და შეადგინა **33,151,627** მგზავრ-კილომეტრი.

მიმართულება	შესრულებული მგზავრ-კილომეტრი (ათასი)						
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
მაგისტრალური							
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	2,789	3,077	2,279	1,508	1,336	1,724	12,713
თბილისი-ქუთაისი - 17/18	786	834	734	609	431	520	3,914
თბილისი-ბათუმი - 801/802	8,058	8,269	7,715	8,057	7,139	7,197	46,435

თბილისი-ბათუმი - 803/804	8,139	8,227	7,719	7,974	7,322	7,406	46,787
თბილისი-ბათუმი - 811/812	6,748	788	259	1,692	1,158	-	10,645
თბილისი-ბათუმი - 808/807	8,113	8,176	7,847	-	-	-	24,135
თბილისი-ბათუმი - 805/806	7,069	8,124	1,339	-	0	-	16,532
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	5,375	5,380	5,033	4,737	4,387	4,542	29,455
თბილისი-ფოთი - 873/874	5,074	4,089	3,245	2,812	2,720	2,914	20,853
სულ	52,150	46,963	36,171	27,389	24,493	24,303	211,469
საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი - 617/618	1,170	1,296	928	808	655	598	5,456
თბილისი-ბორჯომი - 685/686	1,833	1,672	1,576	1,541	1,472	1,235	9,329
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	254	265	217	198	173	111	1,217
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636	-	-	-	-	-	-	-
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	1,226	1,916	1,021	664	610	590	6,026
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	1,073	1,394	1,022	743	714	672	5,617
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	205	225	182	133	128	128	1,001
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	190	169	175	181	171	184	1,069
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	173	161	169	174	177	191	1,045
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	246	101	209	70	157	130	912
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	215	382	218	312	177	174	1,478
სულ	6,585	7,582	5,717	4,822	4,433	4,012	33,152
ჯამი	58,735	54,545	41,888	32,211	28,926	28,315	244,621


მგზავრთა გადაყვანის საშუალო სიშორის (შესრულებული მგზავრ-კილომეტრის ფარდობა გადაყვანილი მგზავრების რაოდენობასთან) მაჩვენებელმა მაქსიმუმს ივლისის თვეში მიაღწია და 245 კმ შეადგინა. ჯამურად, მაგისტრალური მიმართულებებისთვის მგზავრთა გადაყვანის საშუალო სიშორემ 300 კმ-ს მიაღწია, საგარეუბნო მიმართულებებისთვის კი - 93.

მიმართულება	მგზავრთა გადაყვანის საშუალო სიშორე						
მაგისტრალური	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	211	213	206	180	180	196	201
თბილისი-ქუთაისი - 17/18	185	185	192	196	195	199	191
თბილისი-ბათუმი - 801/802	330	330	329	327	331	337	331
თბილისი-ბათუმი - 803/804	329	327	328	330	332	338	331
თბილისი-ბათუმი - 811/812	332	333	331	331	332		332
თბილისი-ბათუმი - 808/807	329	329	328				329
თბილისი-ბათუმი - 805/806	329	328	343	0			330
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	279	277	276	269	272	279	275
თბილისი-ფოთი - 873/874	276	271	277	276	275	273	275
სულ	306	302	300	294	296	298	300

საგარეუბნო							
თბილისი-ბორჯომი - 617/618	135	136	135	135	134	135	135
თბილისი-ბორჯომი - 685/686	123	122	122	122	123	122	123
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	84	84	83	84	83	84	83
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636							
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	106	108	104	103	104	105	105
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	107	108	107	107	107	107	107
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	50	50	50	50	50	50	50
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	37	37	37	37	37	37	37
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	38	38	38	37	38	37	38
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	61	58	61	57	61	61	60
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	60	61	59	61	59	61	60
სულ	95	97	93	91	91	88	93
ჯამი	245	233	230	221	220	223	231

მგზავრ-კმ-ზე დაყრდნობით დაანგარიშებული უტილიზაცია საშუალოდ 84%-ია. ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენს საგარეუბნო მიმართულებებზე, მაშინ, როდესაც მაგისტრალური მიმართულებებისთვის ის საშუალოდ 77%-ს შეადგენს და განსაკუთრებით დაბალია (60%) თბილისი-ოზურგეთის მიმართულებაზე. აღნიშნული უჩვენებს, რომ სრული მარშრუტით სარგებლობის სიხშირე ზოგადად მაგისტრალურ მიმართულებებზე დაბალია.

უტილიზაცია / დატვირთულობის მაჩვენებელი



დეტალურად იხილეთ ცხრილში:

მიმართულება		უტილიზაცია მგზავრ.კმ-ის მიხედვით						
მაგისტრალური	მანძილი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
თბილისი-ოზურგეთი - 11/12	328	64%	65%	63%	55%	55%	60%	61%
თბილისი-ქუთაისი - 17/18	221	84%	84%	87%	89%	88%	90%	86%
თბილისი-ბათუმი - 801/802	343	96%	96%	96%	95%	96%	98%	96%
თბილისი-ბათუმი - 803/804	343	96%	95%	96%	96%	97%	99%	96%
თბილისი-ბათუმი - 811/812	343	97%	97%	97%	97%	97%	0%	97%
თბილისი-ბათუმი - 808/807	343	96%	96%	96%	0%	0%	0%	96%
თბილისი-ბათუმი - 805/806	343	96%	96%	100%	0%	0%	0%	96%
თბილისი-ზუგდიდი - 869/870	317	88%	87%	87%	85%	86%	88%	87%
თბილისი-ფოთი - 873/874	312	89%	87%	89%	89%	88%	88%	88%
საშუალო		90%	89%	90%	67%	67%	58%	77%
საგარეუბნო								
თბილისი-ბორჯომი - 617/618	152	89%	90%	89%	89%	88%	89%	89%
თბილისი-ბორჯომი - 685/686	152	81%	80%	80%	81%	81%	80%	81%
ქუთაისი I - საჩხერე - 633/634	87	97%	96%	95%	96%	95%	97%	96%
ქუთაისი I - საჩხერე - 635/636	87							
ქუთაისი I - ბათუმი - 681/682	138	77%	78%	75%	75%	75%	76%	76%
ქუთაისი I - ბათუმი - 683/684	138	77%	78%	77%	78%	77%	77%	78%
ბათუმი-ოზურგეთი - 613/614	51	97%	98%	99%	99%	99%	98%	98%
თბილისი-გარდაბანი - 6413/6414	39	96%	95%	95%	95%	95%	96%	95%
თბილისი-გარდაბანი - 6415/6416	39	98%	97%	97%	96%	97%	96%	97%
ხაშური-ზესტაფონი - 6417/6418	63	97%	93%	97%	91%	97%	97%	96%
ხაშური-ზესტაფონი - 6445/6446	63	96%	97%	94%	97%	94%	96%	96%
საშუალო		90%	90%	90%	89%	90%	90%	90%
საშუალო		90%	90%	90%	79%	79%	75%	84%

მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობა

მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობა გულისხმობს მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი შემადგენლობებიდან თვის განმავლობაში ფაქტობრივად გამოყენებული მოძრავი შემადგენლობის წილს. მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობის მაჩვენებლები თანაბარი იყო. შეიცვალა მხოლოდ GRS ტიპის ელექტრომატარებლის რაოდენობა, რომელთაგან მთლიანი პარკიდან სექტემბრის თვეში მომხდარი ინცინდენტის შედეგად, მუშა პარკიდან ამოირიცხა 1 ელექტრომატარებელი. შედეგად, სექტემბრის თვიდან მოყოლებული GRS სერიის 4 ელექტრომატარებელიდან მხოლოდ 3 იყო მუშა მდგომარეობაში, რომელთაგან სამივე მუშაობდა ფაქტობრივად. GRT/VMK სერიის 4 მუშა ელექტრომატარებელიდან მხოლოდ 2 მუშაობდა ფაქტობრივად. ER & ES სერიის ელექტრომატარებლებისთვის ამ მაჩვენებელმა 64% შეადგინა, სამგზავრო ვაგონების მუშა პარკიდან კი მხოლოდ 29%-მა იმუშავა ფაქტობრივად.

მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანობა (გამოყენების ეფექტიანობა)					
	2024 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით				
	მთლიანი პარკი	არამუშა პარკი	მუშა პარკი	ფაქტიური მუშაობა	ეფექტიანობა
GRS სერიის ელექტრომატარებელი	4	-	3	3	100%
GRT/VMK სერიის ელექტრომატარებელი	8	4	4	2	50%
ER & ES სერიის ელექტრომატარებელი	13	2	11	7	64%
სამგზავრო ვაგონები	28		28	8	29%

5.3. გაწეული შეღავათები

სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების სატარიფო სტრუქტურის დამტკიცების შესახებ სსიპ „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის № 1-1/71 ბრძანებით დამტკიცებულია სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების შეღავათიანი ფასით სარგებლობის მქონე პირთა კატეგორიები და საშეღავათო ტარიფები (დანართი №4). ამ ბრძანების თანახმად, შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის უფლებით სარგებლობენ:

- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები

აგრეთვე საშეღავათო ტარიფია დადგენილი 5-დან 10 წლამდე ბავშვისთვის.

აღნიშნულ პირთა კატეგორიებისთვის ბილეთის მოქმედ ტარიფს მოქმედ ტარიფს აკლდება 50%. შეღავათები მოქმედებს მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებზე.

2024 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში, სულ გაყიდულია 36,574 საბავშვო ბილეთი (დანიშნული დამატებითი რეისების ჩათვლით⁷). საბავშვო ბილეთებზე სულ გაწეულ იქნა 622,241 ლარის შეღავათი.


რაც შეეხება სხვა ტიპის შეღავათებს, სარკინიგზო ოპერატორი შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის უფლებას ანიჭებს რკინიგზის თანამშრომლებსაც, რაც არ ანაზღაურდება საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული შეღავათის ჩათვლით, სარკინიგზო ოპერატორის ივლისი-დეკემბრის პერიოდში გაწეული აქვს 1,168,799 ლარის ოდენობის შეღავათი (დღგ-ს ჩათვლით). სულ ამ პერიოდში შეღავათით ისარგებლა 77,781 მგზავრმა.

შეღავათის სახეობა	მიმართულება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
სულ შეღავათი	თბილისი-ოზურგეთი	-	-	-	-	-	-	-
	თბილისი-ქუთაისი	-	-	-	-	-	-	-
	თბილისი-ბათუმი	1,902	2,704	1,875	2,630	2,561	3,146	14,818
	თბილისი-ბათუმი	1,898	1,861	1,740	2,530	2,454	3,359	13,842
	თბილისი-ბათუმი	2,552	272	75	927	736	-	4,562
	თბილისი-ბათუმი	1,441	2,044	1,586	-	-	-	5,071
	თბილისი-ბათუმი	1,541	2,850	577	-	-	-	4,968
	თბილისი-ბათუმი	134	140	-	-	139	-	413
	თბილისი-ზუგდიდი	3,146	2,826	3,318	4,174	3,532	4,000	20,996

⁷ რომელიც შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული კომპენსაციის ანგარიშგების მიზნებისთვის.

	თბილისი-ფოთი	3,090	1,693	1,616	2,084	1,984	2,421	12,888
	თბილისი-ფოთი	-	-	-	-	-	223	223
	სულ შეღავათით ისარგებლა	15,704	14,390	10,787	12,345	11,406	13,149	77,781

ყველაზე ხშირად საშეღავათო ტარიფით სტუდენტის სტატუსის მქონე მგზავრები სარგებლობენ. აღნიშნულ პერიოდში გაწეული შეღავათის 87% სწორედ სტუდენტებზე მოდის.



შეღავათიანი ტარიფით ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა ივლისის თვეში, თბილისი-ბათუმის მიმართულებაზე.

შეღავათის სახეობა	მიმართულება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
სულ შეღავათი	თბილისი-ოზურგეთი	-	-	-	-	-	-	-
	თბილისი-ქუთაისი	-	-	-	-	-	-	-
	თბილისი-ბათუმი	37,078	52,860	36,524	51,544	50,119	61,833	289,959
	თბილისი-ბათუმი	37,055	36,588	34,092	49,594	48,104	66,023	271,456
	თბილისი-ბათუმი	50,017	5,458	1,491	18,344	14,497	-	89,808
	თბილისი-ბათუმი	28,069	39,912	30,970	-	-	-	98,951
	თბილისი-ბათუმი	29,945	55,411	11,412	-	-	-	96,768
	თბილისი-ბათუმი	1,892	1,972	-	-	2,729	-	6,593
	თბილისი-ზუგდიდი	29,242	26,900	31,030	38,667	32,325	37,251	195,414
	თბილისი-ფოთი	28,601	13,670	14,489	19,549	18,416	22,987	117,712
	თბილისი-ფოთი	-	-	-	-	-	2,139	2,139
	სულ გაწეული შეღავათი (ლარი)	241,899	232,771	160,009	177,698	166,190	190,233	1,168,799

5.4. აქტივების მოვლა-შენახვა

სარკინიგზო ოპერატორი ხელშეკრულების დანართი N5-ის საფუძველზე ვალდებულია, ყოველ კვარტალურად წარმოადგინოს ანგარიში აქტივების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია წლის მე-3 და მე-4 კვარტლის ანგარიშები.

2024 წლის მე-3 კვარტალი

- ვმკ, ეს, ერ-2 და ერ-2ტ სერიის ელექტრო მატარებლებზე განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-2 (რეისის შემდგომი მომსახურება) – 744 სექცია (2 ვაგონი);
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-3 – 206 სექცია;
 - მიმდინარე რემონტი მრ-1 – 28 სექცია;
 - მიმდინარე რემონტი მრ-3 – 2 სექცია;
- ჯრტ სერიის ელექტრო მატარებლებზე განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:
 - რეისის შემდგომი ტექნიკური მომსახურება – 175 მატარ. (4 ვაგონი);
 - პირველი დონის ტექნიკური მომსახურება – 5 მატარ.
- ჯრს სერიის ელექტრო მატარებლებზე განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:
 - რეისის შემდგომი ტექნიკური მომსახურება – 360 მატარ. (4 ვაგონი);
 - ტექნიკური მომსახურება მ-1 – 8 მატარ;
 - ტექნიკური მომსახურება მ-2 – 3 მატარ.
- ელექტრო მატარებლების რემონტების, მომსახურებისა და მასალა-მარაგ ნაწილების შესყიდვების კუთხით 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:
 - რემონტების და მომსახურების კუთხით გაფორმდა ხელშეკრულებები 3,629,305.40 ლარის სამუშაოებზე, მათ შორის ჯრს სერიის ელექტრო მატარებლების ტექნიკური მომსახურება 2,648,351.93 ლარი;
 - მასალა-მარაგ ნაწილების შესყიდვების კუთხით გაფორმდა და შემოტანილი იქნა 304,632.73 ლარის საქონელი.

2024 წლის მე-4 კვარტალი

- ვმკ, ეს, ერ-2 და ერ-2ტ სერიის ელექტრო მატარებლებზე მე-4 კვარტალში განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-2 (რეისის შემდგომი მომსახურება) – 750 სექცია (2 ვაგონი);
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-3 – 202 სექცია;
 - მიმდინარე რემონტი მრ-1 – 26 სექცია;
 - მიმდინარე რემონტი მრ-3 – 2 სექცია;
- ჯრტ სერიის ელექტრო მატარებლებზე მე-4 კვარტალში განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:
 - რეისის შემდგომი ტექნიკური მომსახურება – 182 მატარ. (4 ვაგონი);
 - პირველი დონის ტექნიკური მომსახურება – 5 მატარ.
 - მეორე დონის ტექნიკური მომსახურება – 2 მატარ.
 - მესამე დონის ტექნიკური მომსახურება – 1 მატარ.
- ჯრს სერიის ელექტრო მატარებლებზე მე-4 კვარტალში განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტები:

- რეისის შემდგომი ტექნიკური მომსახურება – 203 მატარ. (4 ვაგონი);
- ტექნიკური მომსახურება მ-1 – 7 მატარ;
- ტექნიკური მომსახურება მ-4 – 2 მატარ.
- სამგზავრო ვაგონებზე ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება და რემონტი:
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-1 – 2209 ვაგონი;
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-2 – 29 ვაგონი;
 - ტექნიკური მომსახურება ტმ-3 – 13 ვაგონი;
 - სადეპოო რემონტი დრ – 21 ვაგონი;

5.5. ფორს-მაჟორის შესახებ ანგარიში

სარკინიგზო ოპერატორი ხელშეკრულების დანართი N5-ის საფუძველზე ვალდებულია, ყოველ კვარტალურად წარმოადგინოს ანგარიში ფორს-მაჟორის შესახებ (არსებობის შემთხვევაში). 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია წლის მე-3 და მე-4 კვარტლის ანგარიშები.

სარკინიგზო ოპერატორის ცნობით, 2024 წლის 3 სექტემბერს, ავჭალა-თბ.სატვირთოს გადასარბენზე, მატ. #803-ის ენერგო მომარაგების დეპარტამენტის დრეზინასთან შეჯახების ინციდენტი (მომხდარზე მიმდინარეობს, როგორც სამსახურებრივი მოკვლევა, ისე სს გამოძიება).

მე-4 კვარტალში კი, ფორს-მაჟორული სიტუაციის მიზეზით 2024 წლის მე-4 კვარტალში გაუქმდა 31 მატ, მათ შორის:

- 2024 წლის 13 დეკემბერს გაუქმდა მატარებელი #686 ქარბუქის და ძლიერი თოვლის გამო.
- 2024 წლის 14 დეკემბერს გაუქმდა მატარებლები ##11, 12, 17, 18, 801, 802, 803, 804, 869, 870, 873, 874, 617, 618, 685, 686, 6417, 6418, 6445, 6456, 633 და 634 ქარბუქის და ძლიერი თოვლის გამო.
- 2024 წლის 15 და 16 დეკემბერს გაუქმდა მატარებლები ##, 617, 618, 685 და 686 დიდი თოვლის გამო.

6. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორები

ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოებრივი მომსახურების შესრულების ხარისხი ფასდება მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორებით, რომლებიც შედგება ობიექტურად და სუბიექტურად შეფასებული კრიტერიუმებისაგან და განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №4-ით.

მომსახურების შესრულების ხარისხის ძირითადი ინდიკატორები შედგება ობიექტურად და სუბიექტურად განსაზღვრული კრიტერიუმებისაგან. კრიტერიუმები იზომება ავტომატურად ან დამოუკიდებელი, შესაბამისად მომზადებული ხარისხის ინსპექტორების მიერ. კრიტერიუმების შეგროვება ხდება ხელმისაწვდომი სტატისტიკის, გამოკითხვების და კითხვარების საშუალებით.

6.1. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების ობიექტურად შეფასებული კრიტერიუმები (KPI)

სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია აღრიცხოს და კომპეტენტურ ორგანოს ყოველი კვარტალის და კალენდარული წლის დასრულებიდან 30 დღის ვადაში წარუდგინოს მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების ობიექტურად შეფასებული კრიტერიუმების ყოველკვარტალური და ყოველწლიური მაჩვენებლები.

ობიექტურად შეფასებული კრიტერიუმები	მიზნობრივი მაჩვენებელი
პუნქტუალობა	70%
სანდოობა	90%
უსაფრთხოება (მატარებლის შეფერხება უსაფრთხოების მიზეზით)	90%
მატარებლების დასუფთავება	75%
საჩივრების მართვა	85%

ხელშეკრულების შესრულების ძირითადი ობიექტური ინდიკატორები (%), გამოითვლება სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რომელიც უნდა დადასტურდეს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი აქტით.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სარკინიგზო ოპერატორს წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულების შესრულების ძირითადი ობიექტური ინდიკატორების წლის მე-3 და მე-4 კვარტალის ანგარიშები.

6.1.1. პუნქტუალობა

მომსახურების პუნქტუალობა განისაზღვრება როგორც სარკინიგზო მომსახურებების ოპერატიული გაწევა შესაბამისი ოფიციალური განრიგის მიხედვით. სარკინიგზო მომსახურება დროულად შესრულებულად ითვლება, როდესაც სადგურში ფაქტიური შემოსვლის დრო 15 წუთზე მეტით არ აღემატება ოფიციალური განრიგით დადგენილ დროს და როდესაც სადგურიდან ფაქტიური გასვლის დრო 15 წუთზე მეტით არ აღემატება ოფიციალურ განრიგს.

პუნქტუალობის მაჩვენებელი მიუთითებს საანგარიშო პერიოდში შესრულებული რეისებიდან დროულად გასული მატარებლების წილს. პუნქტუალობის ინდიკატორი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{პუნქტუალობა \%} = (\text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლების ჯამი} - \text{დაგვიანებული მატარებლების ჯამი}) \times 100 / \text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლები}$$

მატარებლების დაგვიანების ძირითადი მიზეზები ამ პერიოდში იყო გაფრთხილება და საუბნო სიჩქარის დაუცველობა.

პერიოდი	ოპერირებას დაქვ. მატარებლები	დაგვიანებული მატარებლები	პუნქტუალობა %	ძირითადი მიზეზები
Q3 2024	3 318	472	$(3\,318 - 472) \times 100 / 3\,318 = 85,8 \%$	გაფრთხილების გამო - 360 საკონტაქტო ხაზის დაზიანებისა და მაღალი დაბვის (3000 ვ) გამორთვის გამო - 14 საუბნო სიჩქარის დაუცველობის გამო - 26 მგზავრთა ნაკადის გამო - 1 ელექტრო მატარებლის დაზიანების გამო - 31 ლოკომოტივის დაზიანების გამო - 20 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების დაზიანების გამო - 20 არა სარკინიგზო ოპერატორის მიზეზით - 58
Q4 2024	2 927	146	$(2\,927 - 146) \times 100 / 2\,927 = 95,0 \%$	გაფრთხილების გამო - 72 საკონტაქტო ხაზის დაზიანებისა და მაღალი დაბვის (3000 ვ) გამორთვის გამო - 11 საუბნო სიჩქარის დაუცველობის გამო - 22 ელექტრო მატარებლის დაზიანების გამო - 9 ლოკომოტივის დაზიანების გამო - 22 სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მოწყობილობების დაზიანების გამო - 7 სატვირთო დეპარტამენტის გამო - 1 არა სარკინიგზო ოპერატორის მიზეზით - 75
2024	6245	618	$(6\,245 - 618) \times 100 / 6\,245 = 90.1 \%$	

სარკინიგზო ოპერატორის მიერ ორივე კვარტალში შესრულდა ხელშეკრულებაში პუნქტუალობისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი (70%).

6.1.2. სანდოობა

სანდოობის მაჩვენებელი ამოწმებს გაუქმებული რეისების წილს პერიოდში შესასრულებელი რეისების ჯამური რაოდენობიდან. სანდოობის ინდიკატორი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{სანდოობა \%} = \frac{\text{შესრულებული რეისი} \times 100}{\text{შესასრულებელი რეისი}}$$

სარკინიგზო ოპერატორის ანგარიშის თანახმად, 2024 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში შესრულებულია სანდოობისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი (90%).

პერიოდი	შესრულებული რეისი	შესასრულებელი რეისი	სანდოობა %	დამატებითი ინფორმაცია
Q3 2024	3310	3318	$3310 \times 100 / 3318 = 99,8 \%$	გაუქმებულად ჩაითვა 8 მატარებელი, მათ შორის: - 2024 წლის 17 ივლის 180 წუთზე მეტი დააგვიანა და გაუქმდა მატარებლები #681, #684 და #613 საკონტაქტო ხაზის დაზიანების გამო; 2024 წლის 3 სექტემბერს 180 წუთზე მეტი დააგვიანა და გაუქმდა მატარებლები #11 და #803, ხოლო მატარებლები #804, #874 და #686 მოიხსნა მსვლელობიდან ავჭალა-თბ.სატვირთოს გადასარბენზე მატ. #803-ის ენერგო მომარაგების დეპარტამენტის დრეზინასთან შეჯახების გამო. არა სარკინიგზო ოპერატორის მიზეზით 180 წუთზე მეტი დაგვიანებული ან გაუქმებული მატარებლები არ ყოფილა.
Q4 2024	2 923	2 927	$2923 \times 100 / 2927 = 99,9 \%$	- საანგარიშო პერიოდში 180 წუთზე მეტი დააგვიანა და გაუქმებულად ჩაითვა 4 მატარებელი ელმავლის დაზიანების გამო. - არა სარკინიგზო ოპერატორის მიზეზით (ქარბუქი, ძლიერი თოვლი, უამინდობა) 180 წუთზე მეტი დაგვიანების გამო გაუქმებულად ჩაითვა 3 მატარებელი
2024	6 233	6245	$6233 \times 100 / 6245 = 99,8 \%$	

6.1.3. უსაფრთხოება

უსაფრთხოების მაჩვენებელი ამოწმებს, რამდენი მატარებელი შეფერხდა უსაფრთხოების/დაზიანების მიზეზით. უსაფრთხოების ინდიკატორი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{უსაფრთხოება \%} = \frac{(\text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლების ჯამი} - \text{დაზიანებული/შეფერხებული მატარებლების ჯამი}) \times 100}{\text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლები}}$$

სარკინიგზო ოპერატორის ანგარიშის თანახმად, 2024 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში შესრულებულია უსაფრთხოებისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი (90%). შეფერხების ძირითად მიზეზებად დასახელებულია ელექტრო მატარებლის ან ლოკომოტივის დაზიანება.

პერიოდი	ოპერირებას დაქვ. მატარებლები	დაზიანებული მატარებლები	უსაფრთხოება %	დამატებითი ინფორმაცია
Q3 2024	3 318	36	$(3\,318 - 36) \times 100 / 3\,318 = 98,9\%$	ძირითადი მიზეზები: - ელექტრო მატარებლის დაზიანების გამო - 31 მატ; - ლოკომოტივის დაზიანების გამო - 4 მატ; - საკონტაქტო ხაზის დაზიანებისა და მაღალი ძაბვის (3000 ვ) გამორთვის გამო - 1 მატ; არა სარკინიგზო ოპერატორის მიზეზით - 2 მატ. (მათ შორის ვანდალიზმის გამო - 1 მატ, შეჯახების (ავტოტრანსპორტთან, მოქალაქესთან, საქონელთან და სხვ.) გამო -1 მატ).
Q4 2024	2 927	31	$(2\,927 - 31) \times 100 / 2\,927 = 98,9\%$	ძირითადი მიზეზები: - ელექტრო მატარებლის დაზიანების გამო - 9 მატ; - ლოკომოტივის დაზიანების გამო - 22 მატ;
2024	6 245	67	$(6\,245 - 67) \times 100 / 6\,245 = 98,9\%$	

6.1.4. მატარებლების დასუფთავება

მატარებლების დასუფთავების ინდიკატორში აღირიცხება რეისის წინ დასუფთავების გარეშე გასული მატარებლები და მათი შეფარდება შესრულებული რეისების რაოდენობასთან.

დასუფთავების ინდიკატორი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{დასუფთავება \%} = \frac{(\text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლების ჯამი} - \text{რეისის წინ დასუფთავებლად გასული მატარებლების ჯამი}) \times 100}{\text{ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლები}}$$

ამ ინდიკატორისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი თავდაპირველად 90%-ით განისაზღვრა. მოგვიანებით, სარკინიგზო ოპერატორის მომართვის საფუძველზე, ხელშეკრულებაში პირველი ცვლილების ფარგლებში, დაკორექტირდა და განისაზღვრა 75%-ით.

სარკინიგზო ოპერატორის ანგარიშის თანახმად, მატარებლების დასუფთავება ხორციელდება რამდენიმე ფორმით:

- ოზურგეთი/ქუთაისის მატარებელი, საგარეუბნო მატარებლები:** მატარებელში ასასვლელი კიბეები, ხელის მოსაკიდებლები. / ტამბური კარები, იატაკი, კედლები, ჭერი, სათავსოები, ტამბურებს შორის გასასვლელი. / საპირფარეო (დასუფთავება და დეზინფექცია). / სალონის იატაკი, კედლები, ჭერი, სამგზავრო სალონის კარები. / სალონის ფანჯრები, ფანჯრების ჩარჩოები, ფარდები. / სავარძლები, მაგიდები. / სამგზავრო კუპე, მატარებლის სანათები. / მატარებლის სარკეები, შუშის გამყოფები, საბარგული. / სანაგვე ურნები.
აღნიშნული სამუშაოები სრულდება წმენდა-დასუფთავების სამსახურის მიერ.
- ჯრს, ჯრტ და ვმკ ტიპის ელექტრომატარებლები:** საპირფარეო (დასუფთავება და დეზინფექცია), სანაგვე ურნები, საბარგული. / სავარძლები, მაგიდები. / იატაკი: ლინოლეუმი, საფარი, ხალიჩის საფარი, კიბეები. / კედლები, ჭერი, სანათები, ელ-დუმელი. / ფანჯრები,

კარებები, საინფორმაციო ტაბლო, სასმელი და საკვები აპარატები. / ვაგონებს შორის გადასასვლელი ტრაპი, სუფლე.

აღნიშნული შიდა სამუშაოები სრულდება კონტრაქტორი კომპანიის "ბალავერი"-ს მიერ.

- **გენერალური დასუფთავება:** ხალიჩების დამუშავება ერგოდისკით, კედლების გენერალური დასუფთავება სველი წესით. აღნიშნული სამუშაოები სრულდება თვეში ერთხელ კონტრაქტორი კომპანიის "ბალავერი"-ს მიერ.
- **გარე რეცხვა:** რეცხვა ხელით და/ან ჯაგრისით, სრულდება წმენდა-დასუფთავების სამსახურის მიერ.
- **ღეზინფექცია, დერატიზაცია, ფუმიგაცია** სრულდება ყველა ტიპის მატარებელზე თვეში ერთხელ კონტრაქტორი კომპანიის "ბალავერი"-ს მიერ.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მატარებლების დასუფთავების ანგარიშები წარმოდგენილია წლის მე-3 და მე-4 კვარტლისთვის.

რეისის წინ დაუსუფთავებლად გასული მატარებლები (ივლისი-დეკემბერი 2024)	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
#634 საჩხერე-ქუთაისი	31	31	30	31	30	20	173
#617 ბორჯომი-თბილისი	31	31	30	31	30	28	180
#685 ბორჯომი-თბილისი	31	31	30	31	30	27	180
#6414 გარდაბანი-თბილისი	31	31	30	31	30	31	184
#6416 გარდაბანი-თბილისი	31	31	30	31	30	31	184
#683 ბათუმი-ქუთაისი	31	31	30	31	30	31	184
#613 ბათუმი-ოზურგეთი	31	31	30	31	30	31	184
სულ	217	217	210	217	210	199	1270
სულ ოპერირებას დაქვემდებარებული მატარებლები	1,162	1,122	1,034	1,008	978	941	6245
დასუფთავება %	Q3 (3318-644)×100/3313=80.6%			Q4 (2927-626)×100/2927=78.6%			2024 79.7%

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, სარკინიგზო ოპერატორმა მე-3/მე-4 კვარტალში შეასრულა ხელშეკრულებით მატარებლების დასუფთავებისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი.

6.1.5. საჩივრების მართვა

საჩივრების მართვის ინდიკატორში ანგარიშდება განუხილველად დატოვებული საჩივრების წილი შემოსულ საჩივრებში. სარკინიგზო ოპერატორის ანგარიშებში მოცემულია ყველა შესაძლო არხით (სატელეფონო ცენტრი, ელ-ფოსტა, დოკუმენტბრუნვის სისტემა) შემოსული საჩივრები, რომელიც აღირიცხება წინასწარ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. აღნიშნულ ანგარიშში ასევე მიეთითება საჩივრის სტატუსი: განხილული, განუხილველი, განხილვის პროცესში და საჩივრის განხილვის შედეგი:

დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა თუ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი. ამ ინდიკატორისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია შემოსული საჩივრების მინიმუმ 85%-ის დაკმაყოფილება.

საჩივრების მართვის ინდიკატორი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{საჩივრების მართვა \%} = (\text{შემოსული საჩივრების ჯამი} - \text{განუხილველი საჩივრების ჯამი}) \times 100 / \text{შემოსული საჩივრების ჯამი}$$

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სარკინიგზო ოპერატორის მიერ წარმოდგენილია საჩივრების მართვის ანგარიშები მე-3, მე-4 კვარტლისა და წლის პერიოდისთვის. აღნიშნული ანგარიშების თანახმად, საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა განხილულია და მაჩვენებელი 99%-ს შეადგენს.

საჩივრების შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომპენსაციის მოთხოვნა, კლასთაშორის სხვაობის ანაზღაურება, ნივთის დაკარგვა, მომსახურე პერსონალი, მატარებლებში არსებულ მდგომარეობა, გაჩერების დამატება და დამატებითი მატარებლის დანიშვნა ან სადგურის მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნა, სარკინიგზო მომსახურებით ზოგადი უკმაყოფილების გამოხატვა და ა.შ.

პერიოდი	შემოსული საჩივრები			განუხილველი საჩივრები	საჩივრების მართვა %	დამატებითი ინფორმაცია
	ელ-ფოსტა DocFlow	სატ. ცენტრი	სულ			
Q3 2024	24	91	115	1	$(115-1) \times 100 / 115 = 99\%$	
Q4 2024	34	80	114	1	$(114-1) \times 100 / 114 = 99\%$	
2024	58	171	229	2	$(229-2) \times 100 / 229 = 99\%$	

2024 წლის განმავლობაში შემოსული საჩივრების 64% დაკმაყოფილებულია. 25% არ დაკმაყოფილდა და მხოლოდ 7% დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. რამდენიმე საჩივარს, რომელიც განხილვის პროცესშია ამ დრომდე არ აქვს მინიჭებული სტატუსი დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

დეტალურად იხილეთ ცხრილში:

მომსახურების შესრულების ძირითადი ობიექტური ინდიკატორები (KPI)
საჩივრების მართვა
(ივლისი-დეკემბერი, 2024)

საჩივრის მიზეზი	სულ	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	განხილვის პროცესშია
კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ	113	88	2	23	
კლასთა შორის სხვაობის ანაზღაურების შესახებ	22	22			
მომსახურე პერსონალთან დაკავშირებული პრეტენზია	19	6	1	10	2
დამატებითი მატარებლის დანიშვნის შესახებ	17	3	1	11	2
მატარებელში არსებული ტემპერატურის შესახებ	9	5	3	1	
ნივთის დაკარგვის შესახებ	8	3	4	1	
ინფრასტრუქტურული ხარვეზი	6	4		2	
მგზავრობასთან დაკავშირებული პრეტენზია	6	4	1	1	
სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით	6	2	3	1	
მომსახურებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება	5	1	1	2	1
მატარებლის ბორტზე გაბილეთიანებასთან დაკავშირებით	4		1	2	1
სხვადასხვა სარკინიგზო მომსახურებასა და სამგზავრო მატარებლების მდგომარეობასთან დაკავშირებით	4	3	1		
გაჩერების დამატების შესახებ	3			3	
საბანკო ბარათის ცვლილებით გამოწვეული წარუმატებელი ოპერაცია	2	2			
ავტომობილის დაზიანება ხიდიდან ჩამოვარდნილი აგურის მიერ	1			1	
ელ.ბილეთის თანხის საბანკო ბარათზე დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარვეზი	1	1			
მატარებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით	1	1			
მაღალი გადამცემის ბოძთან დაკავშირებული პრობლემა	1	1			
ხანძართან დაკავშირებული ინფორმაცია	1	1			
ჯამი	229	147	18	58	6

6.2. მომსახურების შესრულების ძირითადი ინდიკატორების სუბიექტურად შეფასებული კრიტერიუმები - მგზავრთა გამოკითხვა

ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე ჩაატაროს მგზავრთა გამოკითხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრულ მიმართულებებზე და დროის მონაკვეთში, ხელშეკრულების დანართი №4.2-ის შესაბამისად. გამოკითხვის მიმდინარეობისას ცალკეულ მიმართულებებზე გამოკითხულ მგზავრთა ჯამური რაოდენობა საგარეუბნო მიმოსვლის მატარებლებში არ უნდა იყოს 50 მგზავრზე ნაკლები, ხოლო მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებზე - 100 მგზავრზე ნაკლები. გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონულად (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში) ან დაბეჭდილი კითხვარის საშუალებით მგზავრობის დაწყებიდან მინიმუმ 15 წუთის შემდეგ. დაბეჭდილი და შევსებული კითხვარი უნდა მოთავსდეს გამოკითხვისთვის განკუთვნილ დალუქულ ყუთში, რომელიც გადაეცემა შედეგების შეფასებისთვის, სარკინიგზო ოპერატორის მიერ განსაზღვრულ, უფლებამოსილ და შედეგების სანდოობაზე პასუხისმგებელ პირს. სარკინიგზო ოპერატორი ვალდებულია საზოგადოებრივი მომსახურების მატარებლებზე გამოკითხვის შედეგები და ანგარიში წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოს გამოკითხვის დასრულებიდან მაქსიმუმ 30 დღეში.

მგზავრთა გამოკითხვისთვის წინასწარ შემუშავდა კითხვარები, რომელიც მომსახურებას ამოწმებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:


- **ხელმისაწვდომობა** (მომსახურების სიხშირე და საიმედოობა, მუშაობის საათები)
- **მოქნილობა** (მატარებლის ბორტზე და მის მიღმა)
- **ინფორმაცია** (მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა)
- **დრო/პუნქტუალობა** (მგზავრობის დრო და დროული მიმოსვლა)
- **მომხმარებელზე ზრუნვა** (მომსახურე პერსონალი პასუხობს თქვენს წინადადებებსა თუ საჩივრებს)
- **კომფორტი** (ტემპერატურა, ვენტილაცია, კომფორტული მგზავრობა, სისუფთავე, ხალხმრავლობა)
- **უსაფრთხოება** (გაქვთ დაცულობის განცდა)
- **მგზავრობის ფასი**
- **კმაყოფილება**

კითხვარი შედგება 20 დახურული კითხვისგან ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად. ამას გარდა, კითხვარი მოიცავს ღია შეკითხვებსაც სარკინიგზო მომსახურებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებისა და მატარებლის ბორტზე სასურველი მომსახურების დამატებასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ამოქმედებიდან მომსახურების ხარისხის სუბიექტური ინდიკატორების შეფასების მიზნით სააგენტოს მიერ განსაზღვრული გრაფიკის თანახმად ჩატარდა გამოკითხვა ყველა მაგისტრალურ (ორჯერ) და საგარეუბნო მიმართულებებზე. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1500-ზე მეტმა მგზავრმა. კითხვარების ნაწილი დახარვეზდა არასრულად შევსების გამო. შესაბამისად, სტატისტიკის მიზნებისთვის გამოყენებულია 1496 კითხვარის შედეგი.


მაგისტრალურ მიმართულებებზე ჩატარებული გამოკითხვების ფარგლებში გამოიკითხა 1174 მგზავრი, ხოლო საგარეუბნო მიმართულებებზე - 322. გამოკითხულთა უმეტესობა (60%) ქალია.

მგზავრთა გამოკითხვა: გენდერული განაწილება



მათგან ყველაზე მეტი (37%) 41-დან 65 წლამდე პირია. აღსანიშნავია, რომ 25 წლამდე პირები უფრო მეტად მგზავრობენ მაგისტრალურ მიმართულებებზე. საგარეუბნო მიმართულებებზე გამოკითხულ მგზავრთა 60%-ზე მეტი 40 წელს არის გადაცილებული.



მგზავრთა გამოკითხვა: ასაკობრივი ჯგუფები




დეტალურად იხილეთ ცხრილში:

მიმართულება	გამოკითხულთა რ-ბა	სქესი		ასაკი				
		მმ.	მდ.	<18	18-25	26-40	41-65	65<
მაგისტრალური								
თბილისი-ოზურგეთი (x2)	207	39%	61%	10%	22%	31%	34%	4%
თბილისი-ქუთაისი (x2)	205	39%	61%	5%	19%	32%	39%	5%
თბილისი-ბათუმი (x2)	244	33%	67%	7%	35%	32%	25%	2%
თბილისი-ზუგდიდი (x2)	252	40%	60%	6%	33%	30%	27%	4%
თბილისი-ფოთი (x2)	266	44%	56%	2%	26%	28%	35%	9%
სულ	1174	39%	61%	6%	27%	30%	32%	5%
საგარეუბნო								
თბილისი-ბორჯომი	54	44%	56%	6%	26%	26%	35%	7%
ქუთაისი-საჩხერე	55	44%	56%	5%	9%	16%	51%	18%
ქუთაისი-ბათუმი	55	38%	62%	2%	20%	25%	47%	5%
ბათუმი-ოზურგეთი	50	50%	50%	4%	10%	48%	36%	2%
თბილისი-გარდაბანი	54	43%	57%	0%	4%	6%	85%	6%
ხაშური-ზესტაფონი	54	46%	54%	2%	4%	11%	70%	13%
სულ	322	44%	56%	3%	12%	22%	54%	9%
ჯამი	1496	40%	60%	5%	24%	28%	37%	6%

გამოკითხულთა უმეტესობა მატარებლით წელიწადში საშუალოდ 1-3-ჯერ მგზავრობს, როგორც მაგისტრალურ, ასევე საგარეუბნო მიმართულებებზე. თუმცა საგარეუბნო მიმართულებებზე უფრო მეტია ისეთი მგზავრების წილი, რომლებიც მატარებლით ხშირად, საშუალოდ წელიწადში 6-10-ჯერ ან უფრო მეტჯერ მგზავრობენ.



მგზავრობის მიზანი მაგისტრალურ მიმართულებებზე უმეტესად ტურიზმია, ხოლო საგარეუბნოზე - სამუშაო, თუმცა მგზავრები სხვა (დაუზუსტებელ) მიზნებსაც ასახელებენ.



მიმართულება	რ-ბა	მგზავრობის სიხშირე					მოგზაურობის მიზანი				
		1-3	3-5	6-10	11-20	>21	განათლება	სამსახური	ტურიზმი	ჯანმრთელობა	სხვა
მაგისტრალური											
თბილისი-ოზურგეთი (x2)	207	45%	19%	13%	10%	13%	10%	10%	33%	7%	40%
თბილისი-ქუთაისი (x2)	205	29%	23%	20%	16%	12%	6%	8%	41%	4%	41%
თბილისი-ბათუმი (x2)	244	55%	17%	14%	10%	5%	5%	19%	55%	5%	16%
თბილისი-ზუგდიდი (x2)	252	33%	21%	19%	13%	13%	14%	15%	31%	4%	37%
თბილისი-ფოთი (x2)	266	24%	29%	26%	12%	9%	14%	16%	13%	9%	48%
სულ	1174	37%	22%	19%	12%	10%	10%	14%	34%	6%	36%
საგარეუბნო											
თბილისი-ბორჯომი	54	12%	12%	25%	19%	33%	17%	62%	15%	4%	2%
ქუთაისი-საჩხერე	55	9%	13%	13%	31%	35%	7%	11%	75%	5%	2%
ქუთაისი-ბათუმი	55	24%	16%	29%	22%	9%	2%	7%	49%	0%	42%
ბათუმი-ოზურგეთი	50	0%	4%	8%	18%	70%	2%	32%	4%	2%	60%
თბილისი-გარდაბანი	54	0%	0%	31%	61%	7%	2%	93%	2%	0%	4%
ხაშური-ზესტაფონი	54	0%	2%	33%	54%	11%	2%	33%	13%	13%	39%
სულ	322	8%	8%	23%	34%	27%	5%	39%	15%	3%	37%
ჯამი	1496	31%	19%	20%	17%	14%	9%	19%	30%	5%	37%

ზემოთ მოცემული კრიტერიუმების შეფასების მიზნით, გამოკითხვის ფარგლებში, მგზავრები 20 დახურული და 2 ღია კითხვისგან შემდგარ კითხვარს ავსებენ.

(სკალაზე “1 - ძალიან უკმაყოფილო” – “5 - ძალიან კმაყოფილი”)

		სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების კრიტერიუმები	შეფასება - მონიშნეთ V				
			1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
			ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	საშუალოდ	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი
1.		ხელმისაწვდომობა (მომსახურების სიხშირე და საიმედოობა, მუშაობის საათები)					
	1.1	მატარებლის მომსახურება ჩვეულებრივ საიმედოა (რეისები სტაბილურია)	☐	☐	☐	☐	☐
	1.2	მატარებლების მოძრაობის სიხშირე ჩემთვის მისაღებია	☐	☐	☐	☐	☐
	1.3	მატარებლის მარშრუტები ჩემთვის მოსახერხებელია	☐	☐	☐	☐	☐
2.		მოქნილობა (მატარებლის ბორტზე და მის მიღმა)					
	2.4	ჩემთვის ადვილია მატარებელში ასვლა და მატარებლიდან ჩამოსვლა	☐	☐	☐	☐	☐
	2.5	ადვილია მატარებელში გადაადგილება	☐	☐	☐	☐	☐
	2.6	მოსახერხებელია მგზავრობის საფასურის გადახდა /ბილეთების ყიდვა	☐	☐	☐	☐	☐
3.		ინფორმაცია (მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა)					
	3.7	მარტივია მატარებლის განრიგის შესახებ ინფორმაციის მიღება	☐	☐	☐	☐	☐
	3.8	მარტივია ბილეთის ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება	☐	☐	☐	☐	☐
	3.9	მარტივია მატარებლის ბორტზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება	☐	☐	☐	☐	☐
4.		დრო / პუნქტუალობა (მგზავრობის დრო და დროული მიმოსვლა)					
	4.10	მატარებელი დროულად მიდის დანიშნულების ადგილამდე	☐	☐	☐	☐	☐
5.		მომხმარებელზე ზრუნვა (მომსახურე პერსონალი პასუხობს თქვენს წინადადებებსა და თუ საჩივრებს)					
	5.11	პერსონალი კარგად არის ჩაცმული	☐	☐	☐	☐	☐
	5.12	პერსონალი ეხმარება მგზავრებს	☐	☐	☐	☐	☐
	5.13	ადვილია პრობლემების ან საჩივრების მოგვარება მგზავრობის პროცესში (მატარებლის ბორტზე)	☐	☐	☐	☐	☐
	5.14	ადვილია პრობლემების ან საჩივრების მოგვარება მგზავრობის დასრულების შემდეგ	☐	☐	☐	☐	☐
6.		კომფორტი (ტემპერატურა, ვენტილაცია, კომფორტული მგზავრობა, სისუფთავე, ხალხმრავლობა)					
	6.15	სავარძლები კომფორტულია და არის საკმარისი ადგილი	☐	☐	☐	☐	☐
	6.16	მატარებლის სუფთაა	☐	☐	☐	☐	☐
	6.17	მატარებელი არის კარგად განათებული, ვენტილირებადი და ადექვატურ ტემპერატურაზე	☐	☐	☐	☐	☐
7.		უსაფრთხოება (გაქვთ დაცულობის განცდა)					
	7.18	მატარებელი ჩემთვის უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებაა	☐	☐	☐	☐	☐
8.		მგზავრობის ფასი					
	8.19	მგზავრობის ფასი ჩემთვის მისაღებია და შესაბამისია ხარისხთან	☐	☐	☐	☐	☐
9.		კმაყოფილება					
	9.20	რამდენად კმაყოფილი ხართ სამგზავრო მატარებლების მომსახურების ხარისხით?	☐	☐	☐	☐	☐
10.		რა არის თქვენთვის, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლისთვის, მომსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი/კრიტერიუმები?					
11.		რა ტიპის მომსახურების მიღებას ისურვებდით მატარებლის ბორტზე დამატებით?					

კითხვარების მგზავრებისთვის დარიგებას უზრუნველყოფს მატარებლის მომსახურე პერსონალი. კითხვარების შევსების შემდეგ, ისინი თავსდება დალუქულ კონტეინერში და იგზავნება დასამუშავებლად სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, რომელიც ანგარიშის სახით იგზავნება სააგენტოში.

კითხვარის პასუხების საფუძველზე ანგარიშდება კმაყოფილების დონე სუბიექტური ინდიკატორებისთვის ინდივიდუალურად და მგზავრთა საერთო კმაყოფილების დონე - ყველა კითხვის შედეგის საფუძველზე ჯამურად.


სუბიექტური ინდიკატორები % - განისაზღვრება გამოკითხვის სრული შედეგებით თითოეულ კრიტერიუმზე:

$$\text{ინდიკატორი \%} = \frac{(\text{გამოკითხვის სრული შედეგებით შეფასების ჯამური ქულა თითოეული კრიტერიუმზე}) \times 100}{\text{გამოკითხვაში მონაწილე მგზავრთა რაოდენობა} \times 5}$$

მგზავრთა კმაყოფილების დონე % - განისაზღვრება კვლევის სრული შედეგებით ყველა კრიტერიუმით ჯამურად:


$$\text{მგზავრთა კმაყოფილების დონე \%} = \frac{(\text{გამოკითხვის სრული შედეგებით შეფასების ჯამური ქულა ყველა კრიტერიუმით}) \times 100}{\text{გამოკითხვაში მონაწილე მგზავრთა რაოდენობა} \times 20 \times 5}$$

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, სარკინიგზო მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილების ჯამური მაჩვენებელი **79%-ია**. მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებში - 81%, საგარეუბნო მიმოსვლაზე კი 74%-იანი კმაყოფილებაა ნაჩვენები.



კმაყოფილების ყველაზე მაღალი დონე - 88% დაფიქსირებულია თბილისი-ბათუმის მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი თბილისი-ფოთის (მაგისტრალურ) და თბილისი-ბორჯომის (საგარეუბნო) მიმართულებებზეა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა ყველა მიმართულებაზე სხვადასხვა დროს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩატარდა, მომსახურების ხარისხის ის მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე კრიტიკულად შეაფასეს მომხმარებლებმა, თითქმის ყველა მიმართულებისთვის საერთოა. ესენია მატარებლების ვენტილაციის, განათებისა და ტემპერატურის, სისუფთავისა და კომფორტთან დაკავშირებული შეფასებები.

მომსახურების შესრულების სუბიექტურად შეფასებული კრიტერიუმების მაჩვენებლებია:



ყველა კრიტერიუმში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისი-ბათუმის მიმართულებაზეა დაფიქსირებული. ეს განპირობებულია ამ მიმართულებაზე მოძრავი მატარებლის ფაქტორით. GRS ტიპის თანამედროვე ელექტრომატარებელი აღჭურვილია კომფორტული მგზავრობისთვის აუცილებელი პირობებით, კომფორტული სავარდლებით და კონდიციონერის სისტემით. ის სხვა, მოძველებულ მატარებლებთან შედარებით უფრო სწრაფადაც გადაადგილდება. იქ ბევრად მარტივია ჰიგიენური ნორმების დაცვა. შესაბამისად, ამას დიდი გავლენა აქვს მგზავრების მხრიდან აღქმაზე და ზოგადად სარკინიგზო სამგზავრო მომსახურებით კმაყოფილების ხარისხზე.

მიმართულება	ხელმისაწვდომობა	მოქნილობა	ინფორმაცია	პუნქტუალობა	მომხმარებელზე ზრუნვა	კომფორტი	უსაფრთხოება	მგზავრობის ფასი	კმაყოფილება
მაგისტრალური	80%	83%	83%	78%	84%	73%	87%	81%	80%
თბილისი-ბათუმი	86%	89%	91%	86%	91%	84%	95%	82%	88%
თბილისი-ზუგდიდი	82%	85%	86%	78%	85%	76%	88%	83%	83%
თბილისი-ოზურგეთი	81%	84%	83%	77%	86%	71%	88%	86%	80%
თბილისი-ფოთი	71%	74%	74%	71%	73%	64%	76%	72%	70%
თბილისი-ქუთაისი	77%	83%	84%	77%	86%	69%	88%	85%	81%
საგარეუბნო	73%	77%	72%	79%	76%	63%	82%	88%	78%
